



შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი,



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,



საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი “დელტა”,



სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

2015 წლის 20-24 აპრილს აწეობს მეორე საერთაშორისო კონფერენციას:

”არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები” და გიწვევთ მასში მონაწილეობის მისაღებად.

კონფერენციაზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- მოწინავე არაორგანული მასალები და მათი მიღების ტექნოლოგიები (ექსტრემალურ პირობებში წარმოებული მასალები, ფუნქციონალური დანაფარები, ნახევრადგამტარული და რადიაციულად მედეგი მასალები, უსხმულო გლინვა, ფხვნილოვანი მეტალურგია, OMS, OMS-ელექტროგლინვა და სხვ.);
- არაორგანული მასალების კვლევის ანალიტიური და სტრუქტურული მეთოდები;
- ლითონმცოდნეობა და მასალების კოროზიისაგან დაცვა; სამედიცინო მასალები;
- არაორგანული საწარმოო ნარჩენების გაუვნებელყოფა და რეგენერაცია ეკოლოგიური უსაფრთხოების პირობების გათვალისწინებით.

მოთხოვნები მომსახურებლებისადმი:

სამუშაო ენა: ინგლისური და რუსული

მომსახურებელმა უნდა წარმოადგინოს 2014 წლის 15 სექტემბრამდე მოსხენების სათაური და რეფერატი, მოცულობით არაუმეტეს 100 სიტყვისა, ინგლისურ ან რუსულ ენაზე სამეცნიერო ინფორმაციის განყოფილების მისამართზე: info@mmi.ge (განყოფილების უფროსი ალექსანდრე ბურჯანაძე).

მოსხენების გაფორმების დაწვრილებითი ინსტრუქცია გეცნობებათ მოგვიანებით. მოსხენებები დაიბეჭდება კრებულის სახით და დაურიგდებათ კონფერენციის მონაწილეებს კონფერენციაზე რეგისტრაციის მომენტში.

საორგანიზაციო კომიტეტი